შიდა ქართლი

SHIRAKI

№14 (10.169)

3-10 მაისი 2025 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი * გამოდის 1937 წლიდან * ფასი: 60 თეთრი

ბიოსფერული რეზერვატის ხელშეწყობისთვის...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის განვითარების ხელშეწყობის პროექტის საზედამხედველო კომიტეტის პირველ შეხვედრას დაესწრო.

როგორც შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განაცხადა, პროექტი დედოფლისწყაროს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს.

„მისასალმებელია, რომ საქართველოში პირველად, **UNESCO**-მ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ აღიარა, რაც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს“, – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

შეხვედრაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა 2022 წელს მოიპოვა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეს სტატუსი მანამდე არცერთ ტერიტორიას არ ჰქონდა.

ბიოსფერული რეზერვატი არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნების კონსერვაციისა და მდგრადი მიწათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დასანერგად.

გამარჯვების მაისი

„როდესაც ვწევარ ცივ სანგარში და ბრძოლა დამღლის,
მოდის თქვენი ხმა, როგორც კვნესა საკუთარ ძვლების,
და თქვენ რომ არა, თქვენი ლოცვა, მე, ჩვილი ბალღი
ამ სასტიკ გრიგალს ვერ გავუძლებდი“.

ეს მარადიულ „ღიმილის ბიჭად“ დარჩენილი მირზა გელოვანია, პოეტი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომმა კალამი დაადებინა და ხელში იარაღი ააღებინა. მაგრამ ტყვიების წვიმაშიც ახერხებდა ლექსების წერას და ომის საშინელებების გადმოცემას.

ის ხედავდა, როგორ იწვოდა ზეცა, როგორ სცდებოდა მას ტყვია „და ამხანაგის გულში ცივდებოდა“, მაგრამ სიკვდილის შიშს არ იკარებდა და ვაჟა-ფშაველას კაი ყმასავით საბრძოლო პოლიგონს, როგორც პიროვნული ზრდის ასპარეზს, ისე აღიქვამდა. მასავით ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე გააქრო ომმა და მასთან ერთად აუხდენელი მიზნები და ოცნებებიც.

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. ამ დღიდან 80 წელი გავიდა, მაგრამ ომის საშინელება მსოფლიოს კვლავ ახსენებს თავს. 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. 9 მაისი კი, ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. მეორე მსოფლიო ომმა საქართველოზე უმძიმესი კვალი დატოვა - ჩვენმა ქვეყანამ 300 000-მდე ჯარისკაცი დაკარგა.

საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 700000 ადამიანი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა. მეორე მსოფლიო ომში, როცა ერთმანეთს ორი ბოროტება ებრძოდა, საქართველომ, სტალინის სამშობლომ, პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის პირველ სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში - 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში - ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში - ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზედაც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე. წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების“ წინააღმდეგ; ანტიბოლშევისტური გამანადგურებელი ბრძოლა აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვებისთვის და დაპყრობილი ტერიტორიების გერმანელებით დასახლება.

გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება. „გერმანია იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა ან საერთოდ არაფერი არ იქნება“, – წერდა ჰიტლერი თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“(Mein Kampf).

დაპყრობილი საბჭოთა კავშირი უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა ოლქად რაიხსკომისრების მმართველობის ქვეშ. აქედან ბელორუსები, უკრაინელები და ბალტიისპირეთის ხალხები „საარსებოდ ვარგისად“, ხოლო რუსები „დაბალ რასად“ იქნენ შეფასებულნი. დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპა დასახლებული უნდა ყოფილიყო გერმანელი გლეხებით და ჯარისკაცებით, ე. წ. „შეიარაღებული გლეხებით“. ნაცისტური ელიტის განზრახვით, აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ „გაუნათლებლები, მორჩილნი და გამრჯე“ და ემუშავათ გერმანიისთვის.

1933 წლამდე ეს იდეები სერიოზულად არავის მიუღია, თუმცა ჰიტლერის პოლიტიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ გეგმის ეტაპობრივი განხორციელება. 1936 წლის აგვისტოში მიღებული „ოთხწლიანი გეგმა“ ითვალისწინებდა გერმანიის არმიის და ეკონომიკის საბრძოლო ვითარებისთვის მომზადებას ორი განსხვავებული ვარიანტისთვის: 1) 1941-1942 წ.წ. - გერმანიისთვის პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არახელსაყრელი ვარიანტი; 2) 1944-1945 წ.წ. - შედარებით ხელსაყრელი ვარიანტი.

1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა თავისი გეგმები დაწვრილებით და დაზუსტებით წარუდგინა ვერმახტის გენერალიტეტს (იხ. „ჰოსბახის პროტოკოლი“).

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „სს“-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადიოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

ომის პირველი გასროლა მოახდინა გერმანულმა სასწავლო გემმა „შლეზვიგ-ჰოლშტაინმა“.

1941 წლის 22 ივნისის დილას კი ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 - დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 - ბალკანეთზე. მიუხედავად ოპერატიული ინფორმაციისა, წითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მებრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ ვერმახტის ჯარებს. ამის ერთადერთი ახსნა „პრევენციული დარტყმის თეზით“ თუ შეიძლება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ისტორიკოსთა გარკვეული წრის მიერ გაზიარებული იქნა და რომელიც ჯერ კიდევ მესამე რაიხის იდეოლოგების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ამ ინფორმაციის მიხედვით, საბჭოთა კავშირი თვითონ ემზადებოდა გერმანიაზე თავდასახმელად. ის ფაქტი, მართლა აპირებდა თუ არა სსრკ გერმანიაზე თავდასხმას და მართლა მზად იყო თუ არა წითელი არმია ასეთი ომისთვის, არ ამსუბუქებს ნაცისტური გერმანიის დანაშაულს ამ თავდასხმაში. სსრკ-ის წინააღმდეგ დაწყებული დაპყრობითი და გამანადგურებელი ხასიათის ომი იყო ჯერ კიდევ წლების წინ ჰიტლერის მიერ ფორმულირებული „აღმოსავლეთში საარსებო სფეროს“ მოპოვების გეგმის დამასრულებელი ეტაპი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი. დაიღუპა 62 მლნ. კაცი (სსრკ - 27 მლნ., გერმანია - 5,25 მლნ., პოლონეთი - 4,5-6 მლნ., იუგოსლავია - 1,7 მლნ., იაპონია- 1,8 მლნ., აშშ - 318.000, დიდი ბრიტანეთი - 386.000, საფრანგეთი - 810.000, იტალია - 330.000, რუმინეთი - 378.000, უნგრეთი - 420 000, ფინეთი - 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

2024 წლის ინფორმაციით, საქართველოში ცხოვრობს მეორე მსოფლიო ომის 74 ვეტერანი, აქედან მხოლოდ 1 - დედოფლისწყაროში.

წითელწყაროდან 1941-45 წლებში მეორე მსოფლიო ომში წავიდა 5070 კაცი, ვერ დაბრუნდა 2528. 1650 კაცი დაჯილდოვებულია მედლებითა და ორდენებით.

ქ. წითელწყარო —1315 კაცი, 671 ვერ დაბრუნდა
ზემო მაჩხაანი — 830 კაცი, 485 ვერ დაბრუნდა
არბოშიკი — 600 კაცი, 340 ვერ დაბრუნდა
ქვემო ქედი — 500 კაცი, 103 ვერ დაბრუნდა
ზემო ქედი 374 კაცი, 269 ვერ დაბრუნდა
ჯაფარიძე — 366 კაცი, 136 ვერ დაბრუნდა
არხილოსკალო — 300 კაცი, 113 ვერ დაბრუნდა.
ოზაანი — 300 კაცი, 136 ვერ დაბრუნდა.
სოფ წითელწყარო — 252 კაცი, 165 ვერ დაბრუნდა
გამარჯვება — 200 კაცი, 92 ვერ დაბრუნდა
საბათლო — 33 კაცი, 18 ვერ დაბრუნდა.

მოამზადა
✍ინგა შიოლაშვილმა

შეგრძნება, რომელსაც სიყვარული ჰქვია...

„გიჭირთ თქვენს თინეიჯერთან საერთო ენის გამონახვა? თინეიჯერების აღზრდა ასეთი დამაბნეველი არასოდეს ყოფილა. თუ გაწუხებთ ფიქრი იმაზე, რომ რაღაცას სწორად არ აკეთებთ, იცოდეთ - თქვენ გამონაკლისი არ ხართ. მთავარია, არ დაკარგოთ იმედი. თუკი მოახერხებთ სიყვარულის სათანადოდ გამოხატვას მკვეთრად შეცვლილი თქვენი თინეიჯერის მიმართ, მასთან სიახლოვის შენარჩუნებასა და საჭირო გავლენის მოხდენასაც შეძლებთ და, რაც ყველაზე მთავარია, ღირსეულ და შეგნებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებით. დოქტორი გერი ჩეპმენი გასწავლით, როგორ: • გაუგოთ დღევანდელ თინეიჯერებს • მიაგნოთ თქვენი თინეიჯერისთვის შესაფერის სიყვარულის ენას • აღმოაჩინოთ თქვენი თინეიჯერისადმი სიყვარულის გამოხატვის საუკეთესო ფორმები • უპასუხოთ თქვენი თინეიჯერის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და ჩაუნერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა • გულისხმიერებითა და გონიერიებით დაეხმაროთ შეცდომის დაშვების შემთხვევაში თინეიჯერის აღზრდა რთულია, მაგრამ დოქტორი ჩეპმენის პროფესიულ რჩევებსა და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით ამას წარმატებით, თანაც - ძალიან კარგად შეძლებთ!“

ასეთი რევიუ აქვს წიგნს, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა და ამავე ორგანიზაციის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელმა, თამარ აბულაძემ დედოფლისწყაროს საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებებსა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს გააცნო. ეს გერი ჩეპმენის - „თინეიჯერების სიყვარულის ხუთი ენაა“.

თამარ აბულაძემ შეკრებილ საზოგადოებას დოქტორ ჩეპმენის დასკვნები გააცნო, რომლის მიხედვითაც „არსებობს სიყვარულის ხუთი ენა: ვერბალური გამოხატულება, ქცევით გამოხატული მზრუნველობა, დროის ხარისხიანად გატარება, საჩუქრის მიღება და ფიზიკური შეხება“.

თამარ აბულაძე: „პატივისცემა, პატიება, ზრუნვა, მოფერება, ჩახუტება, ნდობა - ეს ის აუცილებელი ცნებებია, რომელთა დახმარებითაც ერთ-სიყვარულის ენაზე შეგვიძლია საუბარი. სიყვარული აკეთილშობილებს და სხვა ჰორიზონტს უხსნის ადამიანს. სიყვარულის გამოვლენის განსხვავებული გზების გაგება და გაშიფვრა დაგეხმარებათ თქვენი მოლოდინებისა და მოთხოვნილებების გამოცნობაში. გამოხატეთ სიყვარული სიტყვებით, ქმედებებით, რადგან მოქმედებები სიტყვებზე ხმამაღლაც საუბრობენ, საჩუქრის ჩუქება სულაც არ ნიშნავს რომ მატერიალისტური მიდგომები შეიძლება გქონდეთ, ეს უბრალოდ სიყვარულისა და დაფასების ნიშანია. სიყვარულის ენა უნივერსალურ ყურადღებასაც მოითხოვს, ყოველგვარი ტელევიზორებისა და სმარტფონების გარეშე. თითოეული ენა მნიშვნელოვანია და სიყვარულს თავისებურად გამოხატავს. თქვენი სიყვარულის ენის შესწავლა ხელს შეუწყობს თქვენს ურთიერთობებში უფრო ძლიერი კავშირების შექმნას. დაე, მუდამ სიყვარულითა და დადებითი ემოციებით დამუხტულებს გეცხოვროთ. მადლობა ყველას ყურადღებისა და მობრძანებისთვის“.

ირინა ფიროსმანაშვილი, *ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეციალური მასწავლებელი:* „დღევანდელი შეკრება ძალიან კარგი დასაწყისია ასეთ თემებზე სასაუბროდ. სამწუხაროდ, დღევანდელი ახალგაზრდობა იმდენად მიჯაჭვულია ეკრანს, რომ პირდაპირი კომუნიკაციისთვის დრო, ფაქტორბივად, აღარ რჩებათ. სიყვარული კი სწორედ პირდაპირი კომუნიკაციით იბადება. ნათქვამია, სიყვარული ცას ჰგავსო-მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. მას ვერავინ ხსნის, ის ყველამ თავისებურად უნდა გამოსცადოს. გირჩევდით, დაბრკოლებებმა არ ჩაგაგდონ ფლუსტრაციაში და გესწავლოთ შეცდომებზე, ის იქნება თქვენი უნიკალური გამოცდილება. გისურვებთ წარმატებას“.

დოდო ხუნაშვილი, *დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი:* „ძალიან კარგი თემა და შესაბამისი ასაკი შეგირჩევიათ სასაუბროდ. გარდა იმისა, რომ თინეიჯერებმა ერთმანეთთან სიყვარულის ენით უნდა იურთიერთონ, აუცილებელია, რომ ახალგაზრდა თაობას ჩვენც სიყვარულის ენით ვესაუბროთ. ყველამ ვიცით ქართული ანდაზა - „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო“. ასეა ამ შემთხვევაშიც. თუკი ჩვენს ახალგაზრდობას სიყვარულს შთავუნერგავთ, სიყვარულით დაველაპარაკებით, მათგანაც იგივეს მივიღებთ. ისე უნდა მოვექცეთ სხვას, როგორც გვინდა, რომ ჩვენ მოგვექცნენ. დღესდღეობით, სამყარო სიყვარულის დეფიციტს განიცდის, სწორედ ამიტომ, ერთმანეთს უნდა მოვუფრთხილდეთ, პატივი ვცეთ ერთმანეთის ემოციებს, არ უნდა შეურაცხვყოთ სხვისი გრძნობები. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან, საბოლოოდ, მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს“.

შეხვედრა კითხვა-პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, რომელიც წარდგენილ წიგნს, სიყვარულის გამოხატვის ფორმებს, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებებსა და სწორი კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ დისკუსიაში მსმენელიც აქტიურად იყო ჩართული. შეხვედრის დასასრულს, ახალგაზრდებმა სიყვარულზე შექმნილი არამარტო საკუთარი, არამედ რამდენიმე ცნობილი ლექსიც წაუკითხეს საზოგადოებას.

პ.ს

„სიყვარული ეს არის სინათლე...ეს არის საუკეთესო რამ, რაც კი ჩვენ შეიძლება მივუძღვნათ გარემომცველ სამყაროს. სადაც სიყვარულია, იქ არ არის შიში, ნეგატიური ემოციები, ადამიანი ხდება უფრო ძლიერი, ფერადი და ჰარმონიული“.

ყველას გისურვებთ ნამდვილ, ჯანსაღ და ფერად შეგრძნებას, იმას რასაც სიყვარული ჰქვია.

✍ჟუჟუნა ყანჩაშვილი

გარდატეხის ასაკის სირთულეები მოზარდებში და მშობლების როლი

გარდატეხის ასაკი (პუბერტატი) მოზარდობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დატვირთული ეტაპია, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ცვლილებებს. ეს პერიოდი იწყება დაახლოებით 10-დან 13 წლამდე და გრძელდება 18-19 წლამდე, ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე. გარდატეხის ასაკში მოზარდი იწყებს საკუთარი პიროვნების, ღირებულებებისა და სამყაროს აღქმის ჩამოყალიბებას, რაც ხშირად გამოწვევებით და სირთულეებით არის სავსე.

ფიზიკური და ჰორმონალური ცვლილებები

გარდატეხის ასაკში ორგანიზმში იწყება ჰორმონალური ბალანსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. იზრდება სასქესო ჰორმონების დონე, რაც იწვევს გარეგნულ ცვლილებებს – ბიჭებში იწყება ხმის დაბლა დაშვება, იზრდება სახის და სხეულის თმა, ძლიერდება კუნთოვანი მასა; გოგონებში კი იწყება მენსტრუალური ციკლი, იზრდება მკერდი და სხეულის ფორმა ქალის ანატომიას ემსგავსება.

ამ ცვლილებებს თან ახლავს ემოციური რყევები, გაურკვევლობა და შინაგანი კონფლიქტები. მოზარდები ხშირად განიცდიან დაბნეულობას, უხასიათობას, შფოთვას და უმიზეზო აგრესიასაც კი. ჰორმონალური ფონი დიდ გავლენას ახდენს მათ ქცევაზე, რაც ხშირად უფროსებს გაუგებარ რეაქციებად ეჩვენებათ.

ფსიქოლოგიური სირთულეები და იდენტობის ძიება

გარდატეხის ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია საკუთარი „მე“-ს ძიება. მოზარდები ცდილობენ თვითგამოხატვას, ცდილობენ განსაზღვრონ საკუთარი შეხედულებები, მიზნები და სურვილები. ეს პროცესი ბუნებრივად მოიცავს ავტორიტეტების – მათ შორის მშობლების – ეჭვქვეშ დაყენებას. ხშირად მოზარდები გრძნობენ, რომ მათი არ ესმით, არ აღიქვამენ სწორად და ცდილობენ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ პრობლემები.

ამასთანავე, სოციალური წრე მოზარდისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. თანატოლების აზრი ხშირად უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მშობლების ან მასწავლებლების. სწორედ ამ ეტაპზე ჩნდება რისკი უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ მოხვედრის, რაც შესაძლოა მავნე ჩვევების – თამბაქოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების დაწყებით დასრულდეს.

მშობლების როლი გარდატეხის ასაკში

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ხშირად ცდილობენ მშობლებისგან დამოუკიდებლობის ჩვენებას, სწორედ ამ პერიოდში სჭირდებათ მათ ყველაზე მეტად მყარი საყრდენი – გონივრული, თბილი და თანმიმდევრული მშობლიური ურთიერთობა.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოსმენა. მშობელი არ უნდა ეცადოს მხოლოდ კონტროლს და დირექტივების მიცემას. მას უნდა შეეძლოს მოზარდის აზრის, განცდების და პრობლემების გაგება. აქტიური მოსმენა – როცა მშობელი უსმენს არა იმისთვის, რომ უპასუხოს, არამედ რომ გაუგოს – ურთიერთობის ნდობაზე დაფუძნებულ საფუძველს ქმნის.

მშობლების როლია, რომ ბავშვებს მისცენ თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს დააწესონ გარკვეული საზღვრები. მკაფიო წესები და თანმიმდევრული დისციპლინა მოზარდს უსაფრთხოების შეგრძნებას აძლევს და ეხმარება სწორ გადაწყვეტილებებში.

ასევე მნიშვნელოვანია მშობელმა მისცეს მაგალითი – როგორ დავძლიოთ სირთულეები, როგორ მოვექცეთ ემოციებს, როგორ ვმართოთ კონფლიქტი. ბავშვი ისწავლის არა იმას, რასაც ვეუბნებით, არამედ იმას, რასაც თავად გვხედავს მოქმედებაში.

დასკვნა

გარდატეხის ასაკი რთული, მაგრამ ბუნებრივი ეტაპია ადამიანის განვითარებაში. ეს არის პიროვნული ზრდის, დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის ფორმირების პერიოდი. მოზარდებს სჭირდებათ მხარდაჭერა, გაგება და სწორი მიმართულება. მშობლების როლი ამ პროცესში გადამწყვეტია – არა როგორც მკაცრი დამრიგებლების, არამედ როგორც მეგობრების, მაგალითებისა და სანდო მოკავშირეების. მხოლოდ ასეთ ურთიერთობაში შეძლებს მოზარდი ჯანსაღად განვითარდეს და გადალახოს გარდატეხის ასაკის სირთულეები.

მოამზადა
✍ელზა ხარაშვილმა

მერის ერთი დღე სოფელ სამთაწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიერ ინიცირებული პროგრამა „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. ახლახან პროგრამის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი საზღვრისპირა სოფელ სამთაწყაროს ეწვია. მუნიციპალიტეტის მერი სამთაწყაროში მერის წარმომადგენელთან, ჯემალ დიმიტრაძესთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია პირადად მოისმინა.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერი განახლებულ სკოლასა და საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრა და არსებულ პირობებს და სააღმზრდელო პროცესს გაეცნო. საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ყურადღებას ყოველთვის გრძნობენ და ადგილზე ჩასული მერი საბავშვო ბაღის მონახულებას ყოველთვის ახერხებს.

ბაბალე თეთრაული ***(სამთაწყაროს საბავშვო ბაღის მენეჯერი):*** „ძალიან თბილი და საინტერესო შეხვედრა გვქონდა. ზოგადად, იშვიათად ვიხსენებ შემთხვევას, ნიკოლოზ ჯანიაშვილი სამთაწყაროში ჩამოსულიყო და არ გვსტუმრებოდა. ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ასეთი ყურადღებიანი მერი გვყავს. ყოველთვის ინტერესდება ჩვენი მდგომარეობით და მზად არის მოგვისმინოს, ადგილზე ნახოს ჩვენი პირობები. ახლაც სამივე ჯგუფი მოინახულა, თანამშრომლებს გაესაუბრა და ჩვენი აზრი იკითხა. მე დავაყენე საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ დიდი ეზო გვაქვს, მაგრამ კარგად ათვისებული არ არის. მინდა სათამაშო სივრცეები მოეწყოს. მშობელთა ჩართულობით და ჩვენი მონდომებით ბევრი გაკეთდა, მაგრამ კიდევ არის ფართი. სამშენებლო მასალების ნაწილი გვაქვს და მერს ვთხოვეთ ხელი შეეწყო ამ პროცესისთვის. ის თანადგომას დაგვპირდა. რამდენადაც ვიცი, ისედაც იგეგმება ამ შენობის ძირეული რეაბილიტაცია. სხვა რაიმე გაუსაძლისი პრობლემა არ გვაქვს, შენობის ჭერიც რამდენიმე წლის წინ გამოიცვალა, თუნუქი დაახურეს და არ გვაქვს ხარვეზები. შენობა ძველია, მაგრამ ბაღისთვისაა აშენებული და ყველაფერი თავის ადგილზეა. ძალიან მომწონს ეს პროექტი. 1987 წელს ახლადაშენებული ბაღი ჩამბარდა, მაშინაც ხელმძღვანელი ვიყავი და ამდენი წელი ძალიან ვუფრთხილდებით და ინფრასტრუქტიურა შევინარჩუნეთ. თავდაპირველად სოფელში ორი საბავშვო ბაღი იყო და ჩვენ მეორე საბავშვო ბაღი გვერქვა, დაახლოებით 25 წელია პირველი საბავშვო ბაღი გაუქმდა და მხოლოდ ჩვენ ვმუშაობთ. გასულ წელს 70 ბავშვი გვყავდა. ამჟამად 37 აღსაზრდელი გვყავს და ახალი სასწავლო წლიდან 8-ს ველოდებით. გათბობა, წყალი და ელექტრო ენერგია გვაქვს, ლიტერატურა და სათამაშოებიც მომარაგებული გვაქვს, ისეთი საჭიროება აღარ გვაქვს, რაზეც საუბარს შევძლებდით. რაც შეეხება სოფლის ზოგად პრობლემებს, საბავშვო ბაღთან ახლახან დასრულდა ახალი ასფალტსაფარის მოწყობა და დანარჩენი ნაწილი კიდევ გაგრძელდება. ამას გარდა, ითქვა, რომ ზემოდან კიდევ ერთ ფენას დააგებენ. ახალი გზა ნალექიან ამინდში პატარებსა და მათ მშობლებს ჩვენთან მოსვლას გაუადვილებს“.

მერთან შეხვედრის დეტალებზე საუბრობენ სხვა სამთაწყაროელებიც.

„მერს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ჩვენს უბანში წლების განმავლობაში პატარა ვენეცია გვქონდა. უზარმაზარი გუბეები ყოველდღიურად გადასალახი. ახლა ვითარება გაუმჯობესდა. ამიტომ ადამიანური პირობების შექმნისათვის მადლობა!!! სხვა რაიონების მსგავსად თუ სოფელში საცხოვრებელი სახლების სახურავების მდგომარეობას შეამოწმებენ და კომპეტენტურად შეაკეთებენ, მადლიერი ვიქნებით,“ - ამბობს ადგილობრივი მარია ნადირაშვილი.

„ბოლო ერთ თვეში მერი უკვე მესამედ იყო ჩვენს სოფელში ჩამოსული და ეს სასიამოვნოა. რაიონული ცენტრიდან მოწყვეტილი სოფლისთვის ასეთი ყურადღება დასაფასებელია. კარგია, როცა რაიონის პირველ პირს მთელი დღის გატარება სოფელში სურს და მოსახლეობას უსმენს. ყველა მერი ასეთი ბუნების არ არის, ნიკოლოზ ჯანიაშვილი კი ასეთი ადამიანია. ამას წინათაც გზის მოასფალტებასთან დაკავშირებით იყო ჩამოსული, მაშინაც გვესაუბრა. თუ ვინმეს ჰქონდა სურვილი, რომ მერთან ესაუბრა, ყველას შეეძლო მოსულიყო და მისთვის საინტერესო საკითხი დაეყენებინა.“ - ამბობენ ადგილობრივები.

„ერთი დღე სოფელში“ მომავალშიც აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი ყველა სოფელს ეწვევა.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

მერიამ ხანდაზმულების ფინანსური დახმარება გააორმაგა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 აპრილის სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომელიც ხანდაზმული ადამიანების ფინანსური დახმარების გაზრდას ისახავდა მიზნად. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ლალი ზურაშვილი** აცხადებს, „ხანდაზმული ადამიანები მერიის მხრიდან საჭიროებენ აქტიურ თანადგომასა და მხარდაჭერას, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 100 და100 წელზე ზევით ხანდაზმულ მოქალაქეზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების 500 ლარის გაზრდას კიდევ 500 ლარით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ასეთი 5 ადამიანია. ერთს უკვე მიღებული აქვს ეს ყოველწლიური დახმარება, ხოლო დანარჩენი ოთხი, საიუბილეო ასაკის შესრულებასთან ერთად მიიღებს 1000 ლარს“. ***შირაქი***

ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სოფელ ხორნაბუჯში ჭავჭავაძის ქუჩაზე საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში ჭავჭავაძის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ინფრასტრუქტურულ პროექტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ღირებულება 429 780 ლარია.

პერსონალური ასისტენტის პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა

პერსონალური ასისტენტის სერვისის დაფინანსება გაიზარდა - ეს ცვლილება დედოფლისწყაროს ადგილობრივ ბიუჯეტში ახლახან შევიდა.

ახლად დანერგილი სერვისის ბიუჯეტი განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისათვის პერსონალური ასისტენტის სერვისის განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით, რაც შეადგენს 90 000 ლარს.

„აღნიშნული ქმედებები არ გამოიწვევს ბიუჯეტის ცვლილებას“ – აცხადებენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში.

სოციალურად დაუცველი შშმ პირებისთვის დედოფლისწყაროს მერიამ პერსონალური ასისტენტის მომსახურება მიმდინარე წლის მარტიდან დანერგა. მასში ორი ადგილობრივი ბენეფიციარია ჩართული.

„ მზის სივრცე“-ს პოტენციალი აქვს, მომსახურება გაუწიოს 15 ბენეფიციარს. მართალია, დღეს პერსონალური ასისტენტის სერვისით ჩვენს მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი ბენეფიციარი სარგებლობს, „მაგრამ ახლადფეხადგმული სერვისისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მომავალში გაცილებით მეტ ადამიანს გაუჩნდება პერსონალური ასისტენტის მომსახურების სურვილი“– აცხადებს ია ფიროსმანაშვილი. ***შირაქი***

დედოფლისწყაროში საფრთხისშემცველი გამაცხელებლები დალუქეს

გასული ერთი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში სიცოცხლისთვის საშიში 45 გაზის დანადგარი ქსელიდან ჩაიჭრა. ამის შესახებ „სოკარ გაზის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელმა თემურ გოგილაშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, არცერთი აბონენტის დაჯარიმება არ მომხდარა.

„ეტაპობრივად ვახდენთ ოჯახებში და ორგანიზაციებში მონიტორინგს, სადაც გაზის სისტემების უსაფრთხოებას და დადგენილი ნორმების გამართულობას ვამოწმებთ. აპრილიდან აპრილამდე, ერთი წლის განმავლობაში სიცოცხლისთვის საშიში გაზის დანადგარები გამოვავლინეთ. ამ ერთწლიან მონაკვეთში 45 შემთხვევა აღირიცხა, როცა ამა თუ იმ ტიპის დანადგარი არ პასუხობდა უსაფრთხოების თანამედროვე ნორმებს და სპეციალისტებმა მათი ჩაჭრის გადაწყვეტილება მიიღეს. ამ შემთხვევებში არავინ დაჯარიმებულა, თუმცა, სახიფათო ტექნიკა მოიხსნა და აბონენტებს მიეცათ მითითება, უსაფრთხო სისტემები გამოიყენონ. ამას გარდა, ამ ხნის მანძილზე გვაქვს 22 ისეთი შემთხვევა, როცა აბონენტი სხვადასხვა მიზეზით ჩაიჭრა ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელიდან და ხელახლა აღუდგა გაზის მიწოდება,“ – აღნიშნავს გოგილაშვილი.

სპეციალისტების განმარტებით, ერთკამერიანი წყლის გამაცხელებლების გამოყენება უსაფრთხო არ არის. ისინი ჟანგბადს ოთახიდან მოიხმარენ, რაც რისკის შემცველია. ამიტომ, აბაზანასა და სამზარეულოში წყლის გამაცხელებლების მონტაჟისას აუცილებელია ორკამერიანი შევიძინოთ, რომელიც ჟანგბადს გარედან მოიხმარს და ნამწვიც გარეთ გააქვს. არასწორად დამონტაჟებული, ან ერთკამერიანი დანადგარით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები ხშირია, ამდენად, მეტი სიფრთხილე გვმართებს. ***შირაქი***

აცერი და დაიცავი შენი შვილი!

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონი 2025 წლის 27აპრილი – 3 მაისი აღნიშნავს იმუნიზაციის კვირეულს.

საქართველო უერთდება ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნებს და კვირეულის ფარგლებში კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსახლეობას თუ რა მნიშვნელობა ენიჭება იმუნიზაციას მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის.

ვაქცინაცია გვეხმარება

*თავიდან ავიცილოთ ვაქცინით მართვადი დაავადებები, როგორიცაა ტუბრკულოზი, ჰეპატიტი, დიფტერია, ტეტანუსი, პნევმოკოკური ინფექცია, წითელა, წითურა, ყბა-ყურა, ვირუსული ინფექციების მრავალსახეობა: როტა, პაპილომა, კორონა ვირუსული და სხვა მრავალი .

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ) რეპროდუქციული სისტემის ყველაზე გავრცელებული ინფექციაა და რიგი დაავადების გამომწვევი მიზეზია,როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ადამიანების 80% სიცოცხლეში ერთჯერ მაინც ინფიცირდება ამ ვირუსით. აპვ-ს 200-ზე მეტი ტიპი არსებობს, მათგან 12 მაღალი სიხშირით იწვევს კიბოს. აპვ ინფიციების უმრავლესობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თუმცა,ვირუსის სპეციფიური ტიპით (აპვ 16 და აპვ 18) განპირებული ქრონიკული ინფექცია ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოს გამამწვევი მიზეზი ხდება.

აპვ ასევე იწვევს გენიტალურ მეჭეჭებს, პირ-ხახის და ანოგენიტალურ სიმსივნეებს როგორც ქალებში ასევე მამაკაცებში - უკანა ტანის(88%), პირ-ხახის(13-60%),საშოს(78%), და მამაკაცის სასქესო ორგანოს კიბოს შემთხვევათა უმეტესობას(51%).

საშვილოსნოს ყელის კიბო ქალებში, სიმსივნურ დაავადებათა შორის, სიხშირით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო ევროპასა და საქართველოში -მეხუთე ადგილზე. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად მსოფლიოში 300 000-მდე,ხოლო საქართველოში 200-მდე ქალი იღუპება.

როგორ ავიცილოთ თავიდან პაპილომავირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბო?

აპვ ვაქცინა ვირუსის იმ ტიპების წინააღმდეგაა შექმნილი,რომლებიც იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს.

ვაქცინა მაღალეფექტურია-აცრილთა 95-100% უვითარდება დამცველობითი იმუნიტეტი. შესაბამისად მცირდება ინფექციის გადაცემის და კიბოს განვითარების რისკი.

მსოფლიოში აპვ ვაქცინაცია დაიწყო 2006 წელს და უკვე დანერგილია 90-ზე მეტ ქვეყანაში: აშშ, ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ისრაელი,იტალია, კანადა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი, მოლდოვა, სომხეთი და სხვა.

ვაქცინაციის საუკეთესო ასაკია 9-14 წელი. სწორედ ამ ასაკში ჩატარებული აცრების შედეგად ყალიბდება ძლიერი და ეფექტური იმუნური პასუხი.

საქართველოში პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით აპვ ვაქცინაცია კეთდება 10,11,12 წლის გოგონებში და ბიჭებში. აცრების კურსი შედგება 2 ინექციისგან. აცრებს შორის მინიმალური ინტრვალია 6 თვე.

2022 წლიდან ამ ასაკის გოგონებს დაემატა 13–18 წლის გოგონები. 2023წ-ასაკი გაიზარდა 45 წლამდე, მამაკაცებში 26 წლამდე. 15 წლის ასაკისთვის აცრების კურსი 3 ინექციისგან შედგება.

აპვ ვაქცინა პრაქტიკულად უსაფრთხოა,აცრის შემდეგ იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს ჩვეული გვერდითი მოვლენები - ინექციის ადგილის სიწითლე, მტკივნეულობა , ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი.

- 2020 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ მიიღო საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაციის გლობალური სტრატეგია. მიზნის მისაღწევად ყველა ქვეყანამ უნდა მიაღწიოს და შეინარჩუნოს 100 000 ქალზე ინციდენტობის 4-ზე დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნული ეყრდნობა სამ ძირითად მიზანს:
- ვაქცინაცია: 15 წლამდე გოგონების 90%-ის ვაქცინაცია აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინით;
- სკრინინგი: მაღალი ხარისხის ტესტების გამოყენებით 35 წლამდე და ხელმეორედ 45წლამდე. ქალების 70%-ის სკრინინგი;
-
- მკურნალობა: კიბოსწინარე მდგომარეობის მქონი ქალების 90%-ის მკურნალობა და ინვაზიური კიბოს მქონე ქალების 90%-ის მდგომარეობის მართვა;
- 2030 წლისთვის, ყველა ქვეყანამ უნდა მიაღწიოს სამიზნეს 90-70-90% და აღნიშნული სამიზნეს მიღწევის შედეგად 2120 წელს აცილებული იქნება 62 მილიონი სიკვდილის შემთხვევა გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოთი.

ამ ეტაპზე საქართველოში და ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში გვაქვს წითელას ეპიდემიის საშიშროება. თბილისში და რეგიონებში გვაქვს წითელას მრავლობითი შემთხვევა.დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოუწოდებს მოსახლეობის აუცრელ ნაწილს ჩაიტაროონ წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

აცერი და დაიცავი შენი შვილი დაავადებისგან!

ვაქცინაცია უფასოა!

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

საჭიროა თუ არა აცრები?

ბევრი მშობელი აცრას შიშით უყურებს – ორგანიზმში უცხო ნივთიერების შეყვანა შიშსაც იწვევს და ეჭვსაც – რამე რომ მოხდეს?

მაშ, მოდით, განვიხილოთ, საჭიროა თუ არა აცრების ჩატარება.

დედამიწაზე ჩვენ მარტო არ ვართ - ადამიანის მრავალ ხილულ მტრის არმიას უხილავნიც ემატებიან - ეს სხვადასხვა მიკრობებია, რომელთაც მძიმე დაავადებათა გამოწვევა შეუძლიათ. ისინი ორგანიზმში სხვადასხვა გზით იჭრებიან - ნერწყვის, მტვრის, ჭუჭყიანი ხელების და საგნების და აშ. ორგანიზმში მოხვედრილი მიკრობები იქ გამრავლებას იწყებენ და შედეგად, ინფექციურ დაავადებებს იწვევენ, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ მძიმე მიმდინარეობით გამორჩევა და ზოგჯერ სიკვდილით სრულდება. წინა საუკუნეებში ასეთი ინფექციები დიდ ეპიდემიებს იწვევდნენ. გამოსავალი 1796 წელს ინგლისელმა ექიმმა ე. ჯენერმა მოძებნა. მისი მრავალწლიანი მეცნიერული კვლევა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნით დასრულდა. სწორედ ამ წლიდან დაიწყო ყვავილის საწინააღმდეგო აცრებიც, რამაც პლანეტაზე გასულ საუკენეში საბოლოოდ მოახდინა ყვავილის ვირუსის ლიკვიდაცია.

მიუხედავად ამისა მეცნიერული ვაქცინაციის ფუძემდებლად ფრანგი მიკრობიოლოგი ლუი პასტერი ითვლება. სწორედ იგი გახლავთ საყოველთაოდ ცნობილი ტერმინების „ვაქცინაციისა“ და „ვაქცინის“ ნათლიაც.

რა არის ვაქცინაცია?

ვაქცინაცია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსია, რომლის მიზანი მძიმე ინფექციურ დავადებათა თავიდან აცილებაა. ვაქცინა წარმოადგენს იმუნობიოლოგიურად აქტიურ პრეპარატს. მის შემადგენლობაში შედის დახოცილი ან ცოცხალი, თუმცა დასუსტებული მიკროორგანიზმები ან მათი ტოქსინები. ვაქცინის ორგანიზმში შეყვანის შემდეგ იწყება იმუნური რეაქციები, რაც საბოლოოდ შეყვანილ მიკრობის მიმართ იმუნიტეტის ანუ სენშეუვალობის წარმოქმნით სრულდება. სწორედ ვაქცინაციითაა შესაძლებელი ისეთი მძიმე ინფექციების მართვა, როგორებიცაა დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა, პოლიომიელიტი, ჰემოფილური ჩხირი, როტავირუსული ინფექცია, პნევმოკოკური ინფექცია, B ჰეპატიტი, წითელა, წითურა, ყბაყურა და ზოგიერთი სხვა დაავადება.

როდის უნდა ავცრათ?

ყველა ქვეყანას ვაქცინაციის რეკომენდებული სქემა აქვს. ჩვენი ქვეყნის კალენდრის მიხედვით, აცრები სამშობიარო სახლში იწყება და 14 წლის ასაკში სრულდება. სამშობიარო სახლში დაწყებული აცრები 2 თვის ასაკში გრძელდება. რა არის ვაქცინაციის ასეთი ადრეული დაწყების მიზეზი? ყველა ახალშობილს დედისაგან პლაცენტის საშუალებით ამა თუ იმ დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულები გადაეცემა, ამიტომ ისეთი ინფექციები, როგორებიცაა წითელა, წითურა, ყბაყურა და ზოგიერთი სხვა დაავადება, 1 წლამდე ასაკში იშვიათად ვითარდება. ერთადერთი ინფექცია, რომელიც შესაძლებელია ადრეული ასაკის ბავშვს დედისაგან გადაცემულ ანტისხეულთა მიუხედავად დაემართოს, ყივანახველაა. სწორედ ამით აიხსება ის ფაქტი, რომ ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინაცია 2 თვის ასაკში იწყება, ხოლო წითელას, წითურას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრა შედარებით გვიან ასაკში ტარდება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება და სრულდება პროფილაქტიკური აცრების კურსი, მით უფრო ნაკლებია აცრის შემდგომი რეაქციების ან გართულებათა განვითარების რისკი.

ზოგჯერ ვაქცინაცია ეპიდემიოლოგიური ჩვენებებითაც ტარდება, მაგალითად, სეზონური გრიპის, A ჰეპატიტის, მუცლის ტიპის, ყვითელი ცხელების და ზოგიერთი სხვა ინფექციის წინააღმდეგ.

რა შეიძლება მოხდეს აცრის შემდეგ?

როგორც აღვნიშნეთ, ვაქცინა იმუნობიოლოგიურად აქტიური პრეპარატია, ამიტომ მის შეყვანას შესაძლებელია თან ახლდეს რეაქციები ან გართულებები. ვაქცინაციის შემდგომი რეაქციები პათოლოგიად არ მიიჩნევა. ტემპერატურის მომატება, ინექციის ადგილის შეწითლება, შესივება. თუმცა ეს რეაქციები მკურნალობის გარეშეც გაივლის. ისინი ორგანიზმში განვითარებულ იმუნურ პასუხს ასახავენ. ტემპერატურის მომატება დიფტერიის, ტეტანუსის, ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ შესაძლოა 48 საათი გაგრძელდეს. ნუ შეშინდებით, გაითვალისწინეთ თქვენი ექიმის რჩევები და პატარას სათანადო დოზით სიცხის დამწევი პრეპარატი მიეცით. ეს ბავშვს ვაქცინის შეყვანის ადგილას განვითარებულ ტკივილსაც დაუამებს და ტემპერატურაც დაიწევს. წითელას, წითურას და ყბაყურას საწინააღმდეგო აცრის შემდგომი რეაქცია შესაძლებელია მოგვიანებით 4-10 დღეს გამოვლინდეს ტემპერატურის მომატებით, გამონაყრით, რაც თავისთავად გაივლის.

ვაქცინაციის გართულებები ის არასასურველი მოვლენებია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობას. ეს შეიძლება იყოს ანაფილაქსიური (ალერგიული) შოკი, კრუნჩხვა, სხვადასხვა ნევროლოგიური დარღვევა. გართულებათა მიზეზი შესაძალებელია იყოს ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებები, უხარისხო ვაქცინები, ვაქცინების ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების, აგრეთვე ინექციის წესების დარღვევა. ამიტომ ვაქცინაცია შესაბამისი დებულებების სრულყოფილი დაცვით უნდა წარმოებდეს. საბედნიეროდ, თანამედროვე, მავნე მინარევებისაგან გასუფთავებული ვაქცინები იშვიათად იწვევეს გართულებებს.

ვაქცინაციამდე ექიმთან ვიზიტი აუცილებელია, რათა განისაზღვროს, აქვს თუ არა პატარას აცრის უკუჩვენება.

უკუჩვენებები კი მართლაც არსებობს. მაგალითად, ბავშვის აცრა დაუშვებელია, თუ წინა აცრაზე მძიმე ალერგიული რეაქცია ჰქონდა ან ამ ეტაპზე აქვს რაიმე მწვავე დაავადება. ცოცხალი ვაქცინებით, (მაგ, წითელას, წითურას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრა) არ ტარდება შიდსით ან სიმსივნით დავადებულ პირებში, ორსულებში; დიფტერიის, ტეტანუსის, ყივანახველას საწინაღმდეგო აცრა დაუშვებელია პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებებისა და ეპილეფსიის დროს.

გახსოვდეთ, აცრის უკუჩვენებას არ წარმოადგენს ზაფხული და გარემოს მაღალი ტემპერატურა.

დავამატოთ თუ არა ვაქცინის დოზა, როცა პატარას ჭრილობა აქვს?

ეს ის შემთხვევაა, როცა ტეტანუსის გვეშინია. ტეტანუსის ჩხირი ჩვენს ორგანიზმში მიწით დაბინძურებული ჭრილობებიდან შეიძლება მოხვდეს და მძიმე დაავადება გამოიწვიოს. გახსოვდეთ, რომ თუ თქვენს პატარას გეგმით გათვალისწინებული ყველა აცრა დროულად აქვს ჩატარებული, მას ტეტანუსის დამატებითი ვაქცინაცია ჭრილობის მიუხედავად არ დასჭირდება. არასრული ვაქცინაციის შემთხვევაში კი, აუცილებელია ტეტანუსის ანატოქსინის ერთი დოზის შეყვანა. მოზრდილ ასაკში ბოლო ვაქცინაციიდან 5 წელზე მეტის გასვლის შემთხვევაში ასევე საჭირო ხდება 1 დამატებითი დოზის შეყვანა. იმ შემთხვევაში კი, თუ აცრები ჩატარებული საერთოდ არ არის, ჭრილობის არსებობისას აუცილებელია ანტიტეტანური ვაქცინის და შრატის ერთდროული შეყვანა, რათა ორგანიზმი სრულყოფილად იქნას დაცული ამ მძიმე დაავადებისაგან.

როგორ უნდა მოვამზადოთ ბავშვი აცრისათვის?

- 2 თვის ასაკში აცრის წინ ნუ დაიზარებთ და პატარა ნევროლოგს გაასინჯეთ, რათა ნერვული სისტემის ისეთი დაავადება გამოირიცხოს, რაც აცრის ჭეშმარიტი უკუჩვენება შეიძლება აღმოჩნდეს.
- თუ ბავშვი მოზრდილია, ნუ მოატყუებთ, რომ აცრა აბსოლუტურად უმტკივნეულო პროცედურაა, სჯობს, შეძლებისდაგვარად აუხსნათ აცრის მნიშვნელობა და უთხრათ, რომ ნემსის ჩხვლეტა მხოლოდ ოდნავ არის მტკივნეული.
- წინასწარ აუცილებლად შეიძინეთ ტკივილგამყუჩებელი, სიცხის დამწევი პრეპარატი, რათა აცრის შემდგომი რეაქციები მართოთ.
- აცრის წინ ნუ მისცემთ ალერგიის საწინააღმდეგო მედიკამენტებს ექიმის დანიშნულების გარეშე. გახსოვდეთ, ზემოაღნიშნული მედიკამენტები ჰისტამინის გამომუშავებას თრგუნავს, ეს უკანასკნელი კი იმუნურ რეაქციებში მონაწილეობს. აცრის შემდეგ სწორედ ამ რეაქციებზეა დამოკიდებული სრულყოფილი იმუნიტეტის წარმოქმნა.
- ყოველთვის თან გქონდეთ დოკუმენტი ჩატარებული აცრების შესახებ, რათა საჭიროებისას ექიმს წარუდგინოთ.

ახლა კი, როცა ყველაფერი გაიგეთ ვაქცინაციის შესახებ, მოდით, თქვენ თვითონ უპასუხეთ კითხვას - რატომ უნდა ავცრათ პატარა?

ექიმი

თამარ ოგგაიძე

«დარგის ხელშეწყობა თუ გაგრძელდება საკანონმდებლო დონეზე, მარცვლეულის წარმოების გაზრდა და გაგრძელება შესაძლებელია»

საიმპორტო გადასახადის გაუქმება VS სასურსათო უსაფრთხოება

უნდა გადაიხედოს თუ არა ფქვილზე დაწესებული საიმპორტო გადასახადი? - ამ თემაზე სამსჯელოდ ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტროში არაერთი შეხვედრა შედგა. პურის მწარმოებლების დარგობრივი გაერთიანება ფქვილზე ბაჟის შემცირებას იმ მოტივით ითხოვს, რომ ბაზარზე ფქვილის ღირებულება გაიზარდა, რა პირობებშიც პურის ფასის შენარჩუნება ბიზნესს უჭირს. მეორეს მხრივ ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სასურსათო უსაფრთხოების გათვალისწინებით ფქვილზე დაწესებული საიმპორტო გადასახადი არ უნდა მოიხსნას.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მარცვლეულის მწარმოებლებს ხორბლის რეალიზაციის პრობლემები შეექმნა, საქართველოს მთავრობამ ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, ფქვილზე საიმპორტო გადასახადი დააწესა. ამ შეთანხმებას სამი მხარე ჰყავს. ერთი მხრივ, წისქვილკომბინატები, რომელთაც გაუჩნდათ ვალდებულება, კონკრეტულ ფასად შეისყიდონ ადგილობრივი მწარმოებლებისგან ხორბალი, პურის მწარმოებლებს კი პირველი ხარისხის ფქვილი ისეთი პირობებით უნდა მიაწოდონ, რომ ამან პურის გაძვირება არ გამოიწვიოს. ჰყავს თუ არა ამ შეთანხმებას მხოლოდ ერთი მოსარგებლე მხარე, როგორც ამას პურის მწარმოებლები ამტკიცებენ და რას შეცვლის მარცვლეულის ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ფქვილის იმპორტზე დაწესებული გადასახადის შესაძლო გაუქმების ინიციატივა, ამის შესახებ მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბენიაიძე ამბობს, რომ „ ამ შეთანხმებით ადგილობრივმა ფერმერებმა ცოტა ხანს ისარგებლეს, კერძოდ 2023 წელს,როცა 7-8 ტონა მარცვლეული გაიყიდა, შემდეგ ისევ იაფმა ფქვილმა, რომელიც 38-40 ლარად შემოდიოდა ქვეყანაში, მთლიანად გააჩერა როგორც ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვა, ასევე წისქვილკომბინატებიც. ფასები პურზე გაიზარდა და ზედა ზღვარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ იაფიანი ფქვილი შემოდიოდა ქვეყანაში, პურზე ფასმა მაინც არ დაიკლო. 10 თეთრით გაიაფდა მხოლოდ და ისიც დროებით. მაშინ ამის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ მარტო ფქვილის ფასი არ იყო პურის ფასზე ზეგავლენის მომხდენი. საიმპორტო გადასახადის დაწესების შემდეგ ნელ-ნელა წამოიწია თანხამ და 53 ლარამდე შეიძლებოდა ფასის შენარჩუნება. წისქვილი ამუშავდებოდა, ფერმერი გაყიდიდა თავის მოსავალს.

ეს იყო სამი მხარის შეთანხმება, რომელიც მოგვიანებით კიდევ გადაიხედა. თქვენ იცით, რომ ბოლო პერიოდში პურზე ფასი ისევ მოუმატეს იმიტომ, რომ 53 ლარს რეალურად აცდა ფქვილის ფასი. საიმპორტო გადასახადის გაუქმების საკითხის წამოწევა ჭიქაში ქარიშხლის ატეხვის ტოლფასია, რადგან ის გამოიწვევს ორი დარგის გაჩერებას- ერთი, რომ წისქვილი ვეღარ იმუშავებს არაკონკურენტული გარემოს გამო. რუსეთში, ფქვილზე მოხსნილია მოსაკრებელი, როდესაც ფქვილი შემოდის, ხოლო როცა ხორბალი შემოდის ჩვენს ქვეყანაში, მოსაკრებელი არის გარკვეული თანხა. ანუ, არაკონკურენტულ გარემოში აყენებს ადგილობრივ წარმოებას. ჩვენთან ეს გარემოება იწვევს წისქვილების გაჩერებას და ვნახეთ კიდეც, როცა 3000 ადამიანი უმუშევარი დარჩა. მთლიანად გაჩერდა დარგი და ეს აისახა ხორბლის მწარმოებლებზეც - ამიტომ შეიქმნა მარცვლეულის რეალიზაციის პრობლემა, რადგან წისქვილკომბინატების მხრიდან მოთხოვნა აღარ იყო. ფერმერებს საბანკო ვალდებულებების გასტუმრების ვალდებულება მძიმე ტვირთად დააწვათ და ამან ასახვა ჰპოვა დარგზე - წინა წელს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 30%-ით შემცირდა. ფაქტიურად, საქმე იქითკენ წავიდა, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა,რადგან 150 000 ტონა ხორბლის წარმოების შემთხვევაში, არის რეზერვი, რომლის შენახვასაც ფერმერები თვითონ უზრუნველყოფენ, წისქვილკომბინატებსაც თვითონ აქვს თავიანთი რეზერვი, რაც შეეხება პურის საცხობებს, მათ მხოლოდ 3-4 დღის ფქვილის რეზერვი გააჩნიათ. წარმოიდგინეთ, ამ ორი დარგის გაჩერების შემთხვევაში რა საფრთხის წინაშე დადგება ქვეყანა. აი, რა მოჰყვება საიმპორტო გადასახადის გაუქმებას, რასაც ახლა პურის მცხობელები ითხოვენ. საინტერესოა, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაზე, თვითონ?“

პურის მცხობელები აცხადებენ, რომ ადგილობრივი ხორბლისგან წარმოებული ფქვილი დაბალი ხარისხისაა და სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ამ „ბრალდებას“ უარყოფენ საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში და შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დამოუკიდებელი ლაბორატორიის მიერ პურის მწარმოებლებს ქართული და რუსული პირველი ხარისხის ფქვილის შემოწმებას და შედარებას სთავაზობს. საქმე ის არის, რომ პურის მცხობელები დარგობრივ სამინისტროს ფქვილის იმპორტზე დაწესებული გადასახადის გადახედვას სთხოვენ. მიზეზად ბაზარზე გადასახადის გამო, იმპორტირებული ფქვილის გაზრდილ ფასს და სხვადასხვა ხარისხის ფქვილზე ფინანსური ხელმისაწვდომობის შეზღუდვას ასახელებენ. პურის მცხობელთა ასოციაციის ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ფქვილის იმპორტის დამაბალანსებელი გადასახადი ამოქმედდა, მეპურეებს რუსულ ფქვილზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდა, ამიტომ მწარმოებლები იძულებული არიან, მხოლოდ ადგილობრივ წისქვილებში წარმოებული ფქვილი იყიდონ, რომლის ხარისხობრივი პარამეტრები მეპურეებისთვის არადამაკმაყოფილებელია. საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში არ იზიარებენ მეპურეთა შეფასებებს იმის შესახებ, თითქოს, ფქვილის იმპორტზე დაწესებულმა გადასახადმა ქვეყანაში რუსულ ფქვილზე ხელმისაწვდომობა შეზღუდა და იმ შეფასებას, რომ რუსული ფქვილის საქართველოში წარმოებულზე უკეთესია.

„რაც შეეხება მარცვლეულის ხარისხს - ვერ დავეთანხმები, რომ ჩვენი ხორბალი უხარისხოა. მსოფლიოში ყველგან არის პერიოდი, როცა ხორბლის ხარისხი ასე მერყეობს: 50/50, 60/40-ზე, რას ნიშნავს ეს? ნახევარი არის სასურსათო, ნახევარი კი საფურაჟე, ანუ პირუტყვის გამოსაკვები. ქვეყანაში, სადაც მოდის 150 000-160 000 ტონა მარცვლეული და შეგვიძლია ავიყვანოთ 500 000 ტონამდე წლიურად, ამისი რესურსი გაგვაჩნია, მაგრამ თუ ხელშემწყობი პირობები არ იქნება, ადგილობრივს მოვკლავთ და მთლიანად დავსხდებით იმპორტირებულზე, ყოველთვის ეს პრობლემა დაგვიდგება. წისქვილკომბინატები დღეს ეძებენ ხარისხიან მარცვლეულს იმ პარამეტრებით, რომელიც განსაზღვრულია მათი რეგლამენტით. მოკლედ რომ ვთქვათ, წისქვილკომბინატებს მიაქვთ ხორბლის ის ნაწილი, რომელიც სასურსათოა, ხოლო საფურაჟე მიდის მეფრინველეობასა და მესაქონლეობაში, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი დარგია ჩვენი ქვეყნისათვის. ასე რომ, ხორბლის ხარისხზე საუბარი თითიდან გამოწოვილია.

საიმპორტო გადასახადის დაწესებამ, რომელიც სწორი გადაწყვეტილება იყო, დააბალანსა სამართლიანი გარემო სამივე მხარისთვის. მანამდე მარტო პურის ქარხნები იყვნენ მოგებაში, ისინი 38%-იან მოგებაზე გავიდნენ. ახლა მათ შეუმცირდათ შემოსავლები, მაგრამ მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება? ბაზრის დიფერენცირება უნდა მოხდეს და არა ერთ, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ის, ერთ ქვეყანაზე დამოკიდებულება. ამიტომ, კარგია, ეს როგორც დღეს ხდება-შემოდის ყაზახურიც, რუსულიც და არის ჩვენი, ქართულიც.

წელს ნორმალურ მოსავალს ველოდებით, თუ სტიქიამ არ შეგვიშალა ხელი. შარშანდელთან შედარებით, წელს მეტი ფართობი დაითესა, ფასებიც ნორმალურია. თუ დარგის ხელშეწყობა გაგრძელდება საკანონმდებლო დონეზე, შესაძლებელია წარმოების გაზრდაც და გაგრძელებაც“– აცხადებს ნიკოლოზ ბენიაიძე.

ცნობისთვის, იანვარ-მარტში საქართველომ 15.5 მლნ აშშ დოლარის 63,326 ტონა ხორბალი და მესლინი შეიძინა, რაც გასული წლის საანგარიშო პერიოდზე თანხაში 2.6%-ით მეტია, რაოდენობაში კი, 3%-ით.

რაც შეეხება ფქვილს, იმპორტი თანხაში 39.2%-ით 2.8 მლნ აშშ დოლარამდე, რაოდენობაში კი 50%-ით 9,247 ტონამდეა შემცირებული. მთავარი იმპორტიორი ტრადიციულად კვლავ რუსეთია.

ფქვილის იმპორტის შემცირების მიზეზი მთავრობის მიერ შემოღებული საიმპორტო გადასახადია, რომელიც იმპორტირებულ პროდუქტზე ქართველი მეხორბლეებისა და ადგილობრივი წისქვილების ხელშეწყობის მიზნით დაწესდა.

უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ბაჟი 2023 წლის ივნისიდან მოქმედებს და ტონაზე 200 ლარს შეადგენდა. მოგვიანებით, 2023 წლის 10 ოქტომბრიდან, 250 ლარამდე გაიზარდა. გადასახადის დაწესება, მეწარმეებისა და სამინისტროს განმარტებით განპირობებული იყო რუსეთის მიერ ხორბალზე საბაჟო გადასახადის დაწესებით, რამაც ფქვილის იმპორტი დრამატულად გაზარდა, ხორბლის კი შეამცირა. ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია მაშინ ამბობდა, რომ გადასახადი „თანაბარ პირობებს უზრუნველყოფდა“.

✍ინგა შიოლაშვილი

საწვავზე საცალო ფასები მაისში კიდევ უნდა შემცირდეს

საწვავზე საცალო ფასები მოკლევადიან ჭრილში უნდა შემცირდეს – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგის შედეგებში.

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA) საავტომობილო საწვავის ბაზარზე მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში 2025 წლის პირველი კვარტლის შედეგები გამოაქვეყნა. ანგარიშის მიხედვით, ბენზინსა და დიზელზე, იანვრის თვეში - ფასების ზრდა ფიქსირდება, ხოლო თებერვალ-მარტის თვეში - ფასების კლება. იანვრის თვეში, საცალო ფასის ზრდა, ძირითად შემთხვევებში, განპირობებული იყო გაზრდილი თვითღირებულებით. კერძოდ, კომპანიების დონეზე, საცალო ფასის ზრდამ, საშუალოდ, 5-10 თეთრი შეადგინა, ხოლო იმპორტირებული / შიდა ბაზარზე შეძენილი საქონლის ღირებულება, ასევე რიგი კომპანიების შემთხვევაში - 3-10 თეთრით გაიზარდა.

„იანვრის თვეში, თვითღირებულების ზრდის ფაქტორი, ყველა კომპანიის შემთხვევაში, რელევანტური არ არის. შესაბამისად, ფასის ზრდა ყველა კომპანიის მიერ, მეტწილად, განპირობებული იყო ფასების პარალელიზმით, რაც განსახილველ ბაზარს ისტორიულად ახასიათებს.

ფასის შემცირება, თებერვალ-მარტის თვეში, განპირობებული იყო რიგი კომპანიების შემთხვევაში, იმპორტირებული/ შიდა ბაზარზე შეძენილი საწვავის ღირებულების შემცირებით. ამ მიმართულებითაც არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული კომპანიების კონკრეტული მარკის საწვავზე თვითღირებულება არ შემცირებულა, თუმცა ყველა კომპანიის მიერ ფასი შემცირდა, პრაქტიკულად, ერთ პერიოდში. კერძოდ, 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე პერიოდში ბენზინზე ფასი მსხვილი კომპანიების სეგმენტში 7-10 თეთრით, დიზელზე 8-10 თეთრით, მცირე კომპანიების სეგმენტში ბენზინზე 15-20 თეთრით, დიზელზე 30-40 თეთრით არის შემცირებული.

მსხვილ და მცირე ქსელებს შორის ერთი და იგივე ტიპის საწვავზე ფასთა შორის სხვაობა შეადგენს - ბენზინ „რეგულარზე“ 24-44 თეთრს, ბენზინ „პრემიუმზე“ 19-33 თეთრს, დიზელზე კი 29-46 თეთრს.

ნედლი ნავთობის ფასი, 2025 წლის აპრილის თვეში, დამატებით 8-10%-ით შემცირდა და შემცირების ტრენდს ინარჩუნებს. ეროვნული ვალუტის სტაბილურობის და საერთაშორისო ბაზრებზე ნედლი ნავთობის/პლატსის ფასის შემცირების ტრენდის შენარჩუნების პირობებში, საცალო ფასები ქვეყანაში მოკლევადიან ჭრილში (მაისში) უნდა შემცირდეს“ - აღნიშნულია ანგარიშში.

2024 წელს, ქვეყანაში 1 668 280 000 ლიტრი საწვავის იმპორტი განხორციელდა 47 კომპანიის მიერ. 3 მსხვილი იმპორტიორის წილი ბაზრის იმპორტის დონეზე 44%-ის, 5 მსხვილი იმპორტიორის წილი კი 62%-ის ფარგლებშია. ბაზრის იმპორტის დონე დაბალკონცენტრირებულია. ამავე პერიოდში, საცალო ბაზარზე 1238 ავტოგასამართი სადგურის ოპერირებას 383 კომპანია ახორციელებდა. 5 მსხვილი კომპანიის წილი შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე 66-67%-ის ფარგლებშია, ხოლო მცირე ქსელების სეგმენტის ჯამური წილი 33-34% შეადგენს.

მოამზადა
✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

80 წელი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან

მებრძოლის ჩანაწერები

უკვე 80 წელია გამარჯვების მაისს აღნიშნავენ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. 700 ათასი ქართველი წავიდა მეორე მსოფლიო ომში და 300 000 მებრძოლი ვეღარ დაბრუნდა თავის სამშობლოში. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ომისა და შრომის ვეტერანის, დამსახურებული მასწავლებლის იოსებ ქართველიშვილის მოგონებები, რომელსაც გაზეთ „შირაქის“ მკითხველს ვთავაზობთ.

იოსებ მასწავლებელი ფრონტზე 24 წლის ასაკში გაიწვიეს. ბრძოლით გაიარა ომის წლები და გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით. მედლით „50 წელი სსრკ შეიარაღებული ძალები“, საიუბილეო მედლებით: „20 წელი დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან“, „შრომითი წარმატებისთვის“.

იოსებ ქართველიშვილის მოგონებები

1938-39 წლებში ასპინძის რაიონიდან გადმოვედი წითელწყაროს რაიონში. განათლების განყოფილების გამგე ივანე ჩიხლაძემ არხილოსკალოს არასრულ საშუალო სკოლაში გამაგზავნა მათემატიკის მასწავლებლად. V,VI,VII კლასებს ვასწავლიდი, კმაყოფილი ვიყავი მოსწავლეებით, პედაგოგებით, მოსახლეობით და განსაკუთრებით ივანე ქავთარაძით, რომელიც სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და განსაკუთრებული ყურადღებით გვექცეოდა პედაგოგებს.

არხილოსკალოს სკოლაში დავყავი 1940 წლის 25 იანვრამდე. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მზიანი ამინდი იდგა, თოვლი ჯერ არ მოსულიყო. საკონტროლო წერა უნდა ჩამეტარებინა მათემატიკაში. VI-ე კლასში, გაკვეთილზე მივდიოდი, ხელში რვეულები და ჟურნალი მეჭირა. ამ დროს მამაჩემი მოვიდა და სამხედრო კომისარიატიდან უწყება გადმომცა. ჩემივე მოთხოვნით გაწვეულ ვიყავი სამხედრო სამსახურში. მეც რაღა მქონდა მოსაცდელი, ცხენით გავწიე წითელწყაროში. ასიოდე ბავშვმა ტირილით გამაცილა. ზოგიერთი ჯაფარიძის ტბამდეც გამომყვა. ეს ჩემი დაფასება იყო და მეც დიდი პატივით ვიხსენებ სოფელს თავისი მშრომელი ხალხით. ჯარში ბავშვების წერილებიც ხშირად მომდიოდა. მაგალითებსა და ამოცანებსაც ხშირად მიგზავნიდნენ, ამოვხსნიდი და პასუხებს ვუგზავნიდი.

დავიწყე სამხედრო ცხოვრება რიგით ჯარისკაცად. 1940 წლის აგვისტოში უკრაინის სსრ ქ. სუმის საარტილერიო სასწავლებელში გამაგზავნეს. გამოცდები დაიწყო და 500 აბიტურიენტი ვაბარებდით 100 ადგილზე. ჩემდა საბედნიეროდ, 500-დან მხოლოდ მე მივიღე მათემატიკაში ფრიადი. სასწავლებლის უფროსმა, პოლკოვნიკმა ივანოვმა გამოცდების შედეგები გამოაცხადა და მხოლოდ მე გამომიძახა ტრიბუნასთან. შიშით მუხლები მომეკვეთა. ვიფიქრე, რა დავაშავე ასეთი, პოლკოვნიკი რომ მიხმობს მეთქი. შემატყო რომ შევკრთი, მხრებზე ხელი მომხვია, მადლობა გადამიხადა. შუბლზე მაკოცა და ხმამაღლა გამოაცხადა, ერთადერთი მან დაიმსახურა ხუთიანი, ასეთი რამ ჩვენი სასწავლებლის არსებობის 15 წლის განმავლობაში არ ყოფილაო. უმაღლესი ქულებით ჩამრიცხეს, დიდი ხალისითა და მონდომებით ვსწავლობდი.

ომმა ქალაქ სუმში მომისწრო. აირია მშვიდობიანი ცხოვრებაც და სწავლაც. დღეში 3-4 ჯერ გვქონდა განგაში. სუმის გარშემო ჭაობიანი ადგილები იყო, სიცივესა და ჭაობში ყოფნამ დამაავადა. იშიაზის დიაგნოზით ქალაქის საავადმყოფოში 2 თვე ვიწექი. გამოჯანმრთელების შემდეგ ათეულის მეთაურის წოდებით ყირიმში მივიღე პირველი საბრძოლო ნათლობა. ჩემი ნაწილი სევასტოპოლს იცავდა. აქ იყო საშინელი სანახაობა. ეს იყო ჯოჯოხეთი დედამიწაზე - ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. სახლიც, ხმელეთიც, ზღვაც. ვიბრძოდით ცეცხლის წვიმაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. სამწუხაროდ, მტერი დიდი ძალით გვიტევდა. 1941 წლის 6 ნოემბერს სნორედ სევასტოპოლის მახლობლად დაბა ალუბკა-საარში დავიჭერი. მეგობრებმა საკაცით პირდაპირ საბარგო მანქანაზე ამიყვანეს და დაბა ბალაკლავის საველე საავადმყოფოში მიმიყვანეს. 7 ნოემბერს დილის 8 საათზე მტრის ექვსმა ბომბდამშენმა დაბომბა საავადმყოფოს მარჯვენა მხარე, დაიღუპა 100-მდე დაჭრილი. საბედნიეროდ, ჩვენი პალატა გადარჩა. 2 საათის შემდეგ ადგილზე კომისია მოვიდა. მძიმედ დაჭრილები სასწრაფოდ სევასტოპოლში გადაიყვანეს და გემით „უკრაინა“ ზურგში გაგვაგზავნეს. ასე აღმოვჩნდი სოჭში, სადაც შედარებით მშვიდობა იყო. სოჭიდან თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადამიყვანეს.

მეუღლე, შუშანა ზედგენიძე

ფიზიკის გაკვეთილზე

1942 წლის 1 იანვარს, ახალ წელს ჰოსპიტალის ფანჯრიდან გადმოვიხედე და დავინახე ვანო ქავთარაძე. გახარებულმა შევძახე ვანო ძია! ვანო ძია!... ამოვიდა, ახალი წელი მომილოცა, ერთი კვირის შემდეგ ჩემს ექიმს - კაკაბაძეს ცხვარი გამოუგზავნა და შემოუთვალა: ამ კაცს კარგად მოუარეთ, ჩვენი სკოლის მასწავლებელი იყოო.

გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტის ხაზზე დავბრუნდი. ჩამრიცხეს მესამე, უკრაინის ფრონტის სარდალ ტოლბუხინის არმიის შემადგენლობაში. 1943 წლის სექტემბერში გამაგზავნეს მოსკოვის ოფიცერთა უმაღლესი სკოლის 6 თვიან კურსებზე. მართალია მტერი მოსკოვს დაცილებული იყო, მაგრამ ომის სუნი დედაქალაქში მაინც ტრიალებდა. ამ დროს მოსკოვში ქართული კულტურის დეკადა ტარდებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი პოეტი და დრამატურგი ილო მოსაშვილი. ჩვენს სასწავლებელს 4 მოსაწვევი გამოუგზავნეს, რომელიც ქართველებს მოგვცეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მივედით კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზში. ილო მოსაშვილმა დაგვინახა, იერით მიხვდა, რომ ქართველები ვიყავით. სიხარულით მიგვიღო და მეგზურობაც გაგვიწია. გაგვაცნო მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, დრამატურგი შალვა დადიანი და პოეტი ქალი, მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე).

დავამთავრე უმაღლესი სკოლა და უკრაინაში დავბრუნდი. ჩამრიცხეს 129-ე საარტილერიო ლეგიონში. მტერი უკვე უკან იხევდა. ჩვენმა არმიამ ალყაში მოაქცია გერმანელთა შენაერთი და ხუტორ იასკიშინოეს მახლობლად გაანადგურა.

ბულგარეთის ქალაქ პატარა ზაგორაში ღამის 8 საათზე სკოლის შენობაში ვისვენებდით, ორი ათასამდე მებრძოლი ვათევდით ღამეს. შუაღამისას ტირილისა და კვნესის ხმა შემოგვესმა, ბავშვების და ქალის ხმას ჰგავდა... წამოვიშალეთ და რას ვხედავთ: ჩვენს მისვლამდე სკოლის სარდაფში გერმანელებს მშვიდობიანი მოსახლეობა გამოეკეტა, ზოგი გერმანიაში გასაგზავნად, ზოგიც დასახვრეტად... საბედნიეროდ, ფაშისტებმა განზრახვა ვერ აისრულეს. ტყვეები გავათავისუფლეთ, გვლოცავდნენ და გვეხვეოდნენ... იმ ღამეს რაღა დაგვაძინებდა... ამასობაში გათენდა კიდეც... მოშორებით მომესმა ერთი ოფიცერის ხმა: „ზემდეგო ქართველიშვილო, მოაწყე რაზმი“... ჩემი გვარის გაგონებაზე შევკრთი, ვინ ქართველიშვილი იქნებოდა იქ ჩემს გარდა? მივიხედე იქით, სადაც რაზმი უნდა მოწყობილიყო და ვხედავ დაბალი, ჯმუხი აღნაგობის ზემდეგი იძლევა ბრძანებას: „ბატარეა სტანავის“... ხმა შინაური და ნაცნობი იყო. გავვარდი და დავიძახე: გოგი!!!... მოიხედა და გამოქანდა... ძმები ერთმანეთს ჩავეხუტეთ, ყველა ჩვენ გვიყურებდა. მიხვდნენ, რომ ძმები ვიყავით და ამხელა ომში ამდენი ხნის შემდეგ ღმერთმა ერთმანეთს ცოცხლები და ჯანმრთელები შეგვახვედრა...

ლაპარაკით გული რომ ვიჯერეთ, უფროსს ვთხოვე, ძმა ჩემს რაზმში გამოეშვა... რასაკვირველია მას ეს არ შეეძლო და არც ჩემს ძმას სურდა თავისი ნაწილის მიტოვება. ეს შეხვედრა ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ჩემს ცხოვრებაში...

მონაწილეობა მივიღე რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის გათავისუფლებაში... ჩემი თვალით მაქვს ნანახი ბელიჟეცის და აუშვიცის ბანაკებში გამართული სახრჩობელები... უამრავი ტყვია, გვამი და ადამიანთა ფეხსაცმელების გროვა...

ომის დასრულებამ ავსტრიაში მომისწრო... ქ. გრაცა სიდიდით მეორე ქალაქია ვენის შემდეგ. დემობილიზაციამდე რუმინეთში ვიყავი, იქ ქ. რიმნიკულ-სარატის კომენდანტის მოადგილე გახლდით.

საქართველოში 1946 წელს დავბრუნდი და კვლავ პედაგოგიური მოღვაწეობა განვაგრძე. ვმუშაობდი ქ. წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლა-ინტერნატში, №2 საშუალო სკოლაში, ვემსახურე ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს. ვერ წარმომიდგენია ცხოვრება მოსწავლეებისა და სკოლის გარეშე. მართალია სანერვიულოა, დაძაბული და რთულია ჩვენი სამუშაო რეჟიმი, მაგრამ ესაა ღირსება, რომ სირთულეებს თავი გავართვათ. მიგულეთ თქვენს სამსახურში!

***თქვენი* იოსებ მასწავლებელი.**

იოსებ ქართველიშვილი ლექსებსა და ჩანახატებსაც წერდა, რომელსაც გაზეთ „ახალ შირაქში“ აქვეყნებდა. ეს ლექსი ფოტოს უკანა მხარეს დაუწერია და ფრონტიდან საკუთარი დისთვის, ლიზასთვის გაუგზავნია:

„ეს სურათი, ჩემო დაო
გიგზავნი და შემინახე,
ნეტავ იმ დღეს მოვესწრები,
დავინახო თქვენი სახე?
რომ მანდ ვიყო, დაგიკოცნით
უეჭველად თვალებს, დაო...
ამ სურათზეც წააწერე
„შენ მიცოცხლე, ჩემო ძმაო.“

21.03.1941 წ.

✍ **დალი გაღაშვილი,**
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.

ომის ვეტერანის მოგონებები

სარდიონ იაკობიშვილი, ომის ვეტერანი, II ჯგუფის ინვალიდი სოფელ ჯაფარიძიდან. ომში კიდური დაკარგა. განგებამ არც ომიდან დაბრუნების შემდეგ დაინდო. ორი ვაჟი გამოეცალა ხელიდან და ცხოვრებამ დაჩაგრა. ფრონტზე განცდილი საკუთარი მოგონებები მან 1987 წელს ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა. გარდაიცვალა 2004 წელს.

„იმ დღეს შემოდგომის უჟმური ამინდები დაიჭირა. გრილი ზღვაური უბერავდა... ტანზე სველი ტანსაცმელი გვეცვა. ჩვენს ასეულს დავალებული ჰქონდა მახლობელ დაბლობში ჩასაფრებული მტრის შემოტევა ცოტა ხნით მაინც შეეჩერებინა. დრო უნდა მოგვეგო, სანამ დამხმარე ძალა მოვიდოდა. მაშველ რაზმებს ზღვიდან ველოდით. ორი დღე-ღამის უძილო ვიყავით. რომ იტყვიან ფეხზე დგომა გვიჭირდა. უცებ ჰაერში მაშხალა ავარდა თუ არა, მტერი შეტევაზე გადმოვიდა. მზად ვიყავით და ვიწროდ გაჭრილ ორმოდან ვადევნებდით თვალს მტრის მოძრაობას. მალე ცაში მტრის ორი მესერშმიტი გამოჩნდა. ისე დაბლა მოფრინავდნენ ლამის ხის კენწეროებს მოედვნენ. შეგვამჩნიეს და ტყვიამფრქვევი დაგვიშინეს. ჩვენებმა ცეცხლს ცეცხლით უპასუხეს. ამასობაში მტრის ჯარისკაცები საკმაოდ მოგვიახლოვდნენ. ასეულის მეთაურმა იერიშზე გადასვლა მიბრძანა. ხელჩართულ ბრძოლაში ჩავებით. ჩვენები ლომებივით იბრძოდნენ. თითქოს ერთზე მტრის სამი ჯარისკაცი მოდიოდა. შევაჩერეთ კი არა, მტერი უკუვაგდეთ კიდეც. ამ დროს დამხმარე ძალაც მოვიდა და დაჭრილებს მივხედეთ. ბრძოლის ველი სავსე იყო მტრის გვამებით. დაჭრილებს შორის ჩვენებიც მრავლად იყვნენ. ყუმბარის მიერ გაჭრილი ორმოდან კვნესის ხმა მომესმა. რას ვხედავ ჩემს თანამებრძოლს ვასილ მარანოვს ორი ფაშისტი მოუქცევია ქვეშ. თვითონ კი სისხლისგან იცლება. ზურგზე მოვიგდე და გამოვხოხდი. ამ დროს ზუზუნი გაისმა და ჭურვი ჩემს გვერდით აფეთქდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ტალღამ მაღლა ამაგდო და გონი დავკარგე. არ ვიცი რამდენი ხანი ვეგდე ასე. ფეხის ძლიერმა ტკივილმა გონს მომიყვანა. სიცარიელე ვიგრძენი, გვერდით საწოლზე კი ვასილი მეწვა. ზეწარი გადახადეს და ორივე ფეხი მოჭრილი ჰქონდა სამამულო ომმა მეც ცალფეხა დამტოვა, მაგრამ არ მავიწყდება ჰოსპიტალში გატარებული მძიმე დღეები. ომში სამი წელი გავატარე, აქედან ორნახევარი წინა ხაზზე ვიყავი. ვიბრძოდი კავკასიის დაცვისთვის. სისხლისმღვრელი ბრძოლები გადავიტანეთ ტამანის გათავისუფლებისთვის. ანაპის თავდადების მოწმეც ვიყავი, მაგრამ, რაც 1943 წლის ოქტომბრის ბოლოს ვიხილე, ეს ნამდვილად საბჭოთა მებრძოლების გმირობა იყო. მტერზე გამარჯვება არასოდეს ყოფილა ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი, როგორც 1945 წლის მაისში. კაცობრიობა 1418 დღე-ღამე ელოდა კაპიტულაციის აქტს. ფაშისტურმა გერმანიამ მიიღო თავისი საზღაური“.

ცხოვრება ნერვების ომია!

თანამედროვე ცხოვრება არა მხოლოდ უკიდურესი დინამიურობით და აღმატებული ტემპით ხასიათდება, მისთვის არანაკლებ დამახასიათებელია ნერვული გადატვირთვის სულ უფრო ახალი და მრავალფეროვანი გამოვლინებანი.

ნეიროფსიქოლოგთა განმარტებით, სერიოზული ნერვული აშლილობა, შესაძლოა, მცირე ასაკის ბავშვებსაც კი აღენიშნებოდეთ, რაც დედის მიერ ფეხმძიმობის პერიოდში გადადცმულ ბევრ არასწორ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს.

უფრო მეტიც, ნებისმიერ დაავადებათა დაახლოებით 70 პროცენტი სწორედ ფსიქოსომატიკურ საფუძველზე ყალიბდება.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: ყველანაირ, უსიამოვნებაში დამნაშავე –ნერვებია!

მაგალითად:

1). ახლა უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ ემართებათ ადამიანებს ყაზბობა, რომლებიც გარეგნულად მშვიდად კი გამოიყურებიან, მაგრამ შინაგანად თავდაჯერებულნი არ არიან – ნერვიულობენ და იმიტომ!

2).გამძაფრებული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები, როგორც წესი, კუჭის წყლულით ავადდებიან, რადგან თავიანთ თავზე ბევრს იღებენ და აქედან გამომდინარე, საკუთარ ცხოვრებაზე სათანადოდ ვეღარ ზრუნავენ.

3). ინფარქტი, ჩვეულებრივ, ისეთ ადამიანებს ემართებათ, რომლებიც მკვეთრად გამოხატული მბრძანებლური (ე.წ. „დიქტატორული“) გადახრებით გამოირჩევიან.

ასევე, ინფარქტის ალბათობა იზრდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ადამიანი საკუთარ და სხვის პრობლემებზე ბევრს ღელავს.

4). მერყევი ხასიათის ადამიანებში, როგორც წესი, ბრონქული დაავადებები აღინიშნება.

5). ბავშვები, რომლებიც მშობლებს შედარებით იშვიათად უჯერებენ, ხშირად ხდებიან ასთმის ნიშნების მატარებლები.

6). ადამიანები, რომლებიც ძლიერი განცდითი ხასიათით გამოირჩევიან, თავის ტკივილებით იტანჯებიან, რადგან ისინი გადაწყვეტილებებს, ხშირად, სხვის მაგივრადაც იღებენ ხოლმე.

მოკლედ, უფრო ადვილად შეხედეთ ცხოვრებას, უფრო ხშირად გაიღიმეთ და ნუ დაიტვირთავთ საკუთარ თავს ისეთი ამბებით, რომელთა გვერდზე გაწევა შესაძლებელია.

✍ ბესარიონ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი.

თავისუფალი თამაშები

1 მაისს, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე, „საქართველოს თავისუფლების თამაშების“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის, მინი ფეხბურთში შეჯიბრი გაიმართა.

ღონისძიება საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ჰიმნით, აღიმართა საქართველოს დროშა.

შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ 2011, 2012 და 2013 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა გუნდები - ქ. დედოფლისწყაროს №1, №2, სოფლების-ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ოზაანის, ხორნაბუჯის, ზემო ქედის №1, არხილოსკალოს, სამთაწყაროს, ქვემო ქედისა და ფიროსმანის საჯარო სკოლებიდან.

როგორც ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ, სიგელებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ შემდეგი გუნდები:

პირველი ადგილი სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლის გუნდი;

მეორე ადგილი სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის გუნდი;

მესამე ადგილი სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდი.

„საქართველოს თავისუფლების თამაშები“ ტარდება ყოველწლიურად 9 აპრილიდან 26 მაისის ჩათვლით პერიოდში და ასოცირდება საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან.

ღონისძიების ავტორი და ინიციატორია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია. თამაშები გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელშეწყობით, ა.(ა).ი.პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით.

შეხვედრა სკოლამდელი განათლების თემაზე

ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე და პოზიტიური მშობლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით

შეხვედრა გაიმართა. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა მარიამ ჩიბუხაშვილმა, ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე, მშობლისა და აღმზრდელის საერთო მიზანზე, ბავშვის უფლებების დაცვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები და საბავშვო ბაღების საკონსულტაციო საბჭოს წევრი მშობლები, საბავშვო ბაღის მენეჯერები, მეთოდისტები და აღმზრდელ-პედაგოგები.

შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ორგანიზებით.

ერთი კადრი წარსულიდან

1987 წელი, ქალაქ წითელწყაროს მთავარი მოედანი. ახლადაშენებული პოლიკლინიკის თანამედროვე შენობა. გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ფოტო, დაცულია რედაქციაში



გამოსათხოვარი

ელიზბარ ალუღიშვილი

ჩვენო ელიზბარ,

ძალიან ძნელია, სიტყვებით გამოხატო ის ტკივილი, რასაც განვიცდით შენი გარდაცვალების გამო.

ძნელია ამ ამბის მიღება და შეგუება.

ელიზბარ, ბიჭო, ძალიან გვაკლიხარ!

შენ ხომ ჭკვიანი, ხალისიანი, დაუზარელი, კეთილი და იუმორით სავსე მეგობარი იყავი. დიახ, მეგობარი, მიუხედავად ასაკის სხვაობისა, ყველასთან თანასწორი და თანატოლი იყავი.

სადაც შენ იყავი, იქ მუდამ მხიარული განწყობა სუფევდა და სიცილი ისმოდა. პატარა ბიჭი მოხვედი „პრივატბანკში“ და შენი ხასიათითა და ქცევით უცებ შეგვაყვარე თავი. ბედნიერები ვართ, რომ შენთან ერთად ვიმუშავეთ წლები. მერე ცხოვრებამ დაგვაშორა, სხვადასხვა სამსახურებსა თუ ქალაქებში გავიფანტეთ, მაგრამ ერთმანეთთან კონტაქტს არ ვწყვეტდით.

ყველა გიყვარდა და რითიც შეგეძლო, ყველას გვერდში ედექი.

როგორ მიგვატოვე, ბიჭო!

შენი სამსახურისკენ ვეღარ ვიხედებით, სამსახურის წინ აივანზე დგომა გიყვარდა, თვალი ისევ გეძებს.

ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში აღესრულე, ნათელში იყოს შენი სული.

მშვიდობით!

ყოფილი „პრივატბანკის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის თანამშრომლები

გახსენება

ვაჟა ბოსტაშვილი

...რაღაც იწყება და მთავრდება. ხშირად უფრო ადრე, ვიდრე ველით, მთავრდება ისე, რომ ვერც ვიაზრებთ. ასე გაქრი შენც, გაქრი როგორც პირველი თოვლი, ჩუმად და უკანმოუხედავად... შავმა უსასრულობამ ჩაგყლაპა შენც. წაგართვა ის, რაც ყველაზე მეტად გიხაროდა, ის, რაც ყველას უხარია – სიცოცხლე.

11 გიორგობა, 11 აღდგომა და 11 შავი წელიწადი შენი გარდაცვალებიდან, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. ძნელია მარტოობა და ფიქრი წარსულზე. შენი დაკარგვა იმდენად მძაფრია, იმდენად მტკივნეული, თითქოს გულიდან რაღაც მოგგლიჯეს. სწორედ ასეთი ტკივილი გვარგუნა ღმერთმა 2014 წლის 6 მაისს გიორგობის დღეს, როდესაც წაგვართვა უდროოდ 58 წლის ასაკში შენი თავი. სულით სპეტაკი იყავი და ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი და უძვირფასესი მამა და მეუღლე, რასაც ახლა ვაცნობიერებთ. გვჯერა, რომ არამიწიერ ქვეყანაში გრძელდება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და ისიც გვჯერა, რომ ახლა შენ გვიყურებ და ამაყობ შენი შვილებით და შვილიშვილებით, რომლებშიც შენი გენი გრძელდება-ლუკას, ელენას და გეგას სახით.

მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო კეთილო ადამიანო. მოგილოცავთ აღდგომას და გიორგობას, უფალს შევთხოვთ, გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი: **მეუღლე, შვილები და შვილიშვილები**

თამარ ქადაგიშვილი, ვასიკო, მაია, თამაზ თეთვაძეები, თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ, მერი, ავთო, ალიკა, მზია, ლილიკოს ოჯახებს

ელიზბარ ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვისელი და მაყვალა გორაშვილები ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ სოსო და მარინა ბოსტოღანაშვილებს სიძის, ლილიკო ბოსტოღანაშვილს მეუღლის

ელიზბარ ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: დები ლუიზა და ფატი ზურაშვილები, სამძიმარს უცხადებენ შვილს ნიკო ქადაგიძეს, რძალს ნათელა ლოლაშვილს, შვილიშვილებს მიშიკო, მანანა, მამუკა ჯაფოშვილებს, სიძეს ზურა ბაჩუნაშვილს, შვილთაშვილებს: ბაჩო და ნინო ბაჩუნაშვილებს, ნათია, ეკა, გიორგი ქადაგიძეებს

ნინა ათანელიშვილ-ქადაგიძის

102 წლის ასაკში გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქ.დედოფლისწყაროში, 3 მაისს.

ანსამბლი «ხორნაბუჯი» მუსიკალურ შოუში მონაწილეობდა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მასშტაბური მუსიკალური კონკურსი „ხალხური“ გრძელდება. ქალაქ თელავში გამართულ კახეთის რეგიონულ შესარჩევ ტურში წარმატებით გამოვიდა დედოფლისწაროს ანსამბლი „ხორნაბუჯი“. მათ ჟიურის წევრების მოწონება დაიმსახურეს და შემდეგ ტურში გადავიდნენ. საუკეთესოდ შესრულებული სიმღერების შემდეგ დედოფლისწყაროს მომღერალთა გუნდი საკონკურსო ათეულში მოხვდა, სატელევიზიო მუსიკალური შოუს სცენაზე მოხვდა და ნახევარფინალში გადასასვლელად იბრძოდა. 27 აპრილს გამართულ საკონკურსო ტურში მათ შეასრულეს სიმღერა „ზამთარი“. თუმცა, ჟიურის გადაწყვეტილებითა და პროექტის წესების თანახმად ნახევარფინალში გადასულ 4 გუნდს შორის დედოფლისწყაროს „ხორნაბუჯი“ ვერ მოხვდა და სატელევიზიო მუსიკალურ შოუს გამოეთიშა. ანსამბლი „ხორნაბუჯი“ სავარაუდოდ 1978 წელს დაარსდა.

შედეგის მიუხედავად, ჟიურის ყველა წევრი დედოფლისწყაროს ფოლკლორული ანსამბლის მაღალ საშემსრულებლო დონეზე ამახვილებდა ყურადღებას.

„ლევან ხუნაშვილი თავისი ცხოვრების წესით საოცარ საქმეს აკეთებს დედოფლისწყაროში. როცა 79 წლის ბატონი ლევანი ახალგაზრდა ბიჭების გვერდით ჯეილად მღერის, მათთვის ეს არის საოცარი მაგალითი. როგორი თავდადება აქვს ანსამბლის ხელმძღვანელს ლექსო გრემელაშვილს, თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ მომღერალს. დედოფლისწყარო ის საზღვრისპირა მხარეა, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია ხალხური სიმღერის

განვითარება და გავრცელება. მადლობა თქვენ, რომ ამ სიმღერას ასეთი გემო მოუძებნეთ. მსგავსი იშვიათი კოლორიტით კახური სიმღერის შესრულება იშვიათად, ან შეიძლება დღეს ვერც მოისმინო საქართველოში. ამისათვის დიდი მადლობა“ - აღნიშნა ჟიურის წევრმა დათო ცინცაძემ.

„ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რადგან ეს ურთულესი სიმღერაა. ორივე სოლისტი ძლიერი იყო და უნდა მივულოცოთ, რომ ძალიან კარგები არიან. ის რომ სამი თაობა გვერდიგვერდ, ასე შეხმატკბილებული დგას, იმას ნიშნავს, რომ სიმღერა გრძელდება. თაობები იცვლება, მაგრამ ტრადიცია გრძელდება და ახალგაზრდები სწავლობენ ხალხურ სიმღერას. ამიტომ დიდი მადლობა წინა თაობასაც და მომავალსაც“ - ითქვა სცენაზე.

სატელევიზიო მუსიკალური კონკურსი „ხალხური“ პირველი არხის ეთერში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. პროფესიული ნიშნით დანიშნულმა ჟიურიმ ხალხური ფოლკლორის ნიმუშები ქვეყნის ყველა რეგიონში შეარჩია. შოუ ყოველ კვირას 22 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერშია.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

მაყვალა გონაშვილის ლექსის პრეზენტაცია

თანამედროვე ქართველი პოეტი ქალების რჩეული ლექსების გამოცემა ანა კალანდაძის ხელნაწერის მიხედვით შექმნილი ელექტრონული კალიგრაფიით მიმდინარეობს. ლიტერატურული პროექტი „ლექსი კალიგრაფიაში“ ანა კალანდაძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ხორციელდება. დედოფლისწყაროს მერიის დაფინანსებით დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, მაყვალა გონაშვილის ცნობილი ლექსი „ვალი“.

გასულ კვირას თბილისში, პროექტის პრეზენტაცია მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას სახელოსნოს ეზოში გაიმართა. ღონისძიებას მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, ცნობილი პოეტები და დედოფლისწყაროს მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი ესწრებოდნენ. რევაზ მიშველაძემ მაყვალა გონაშვილის დამსახურებებზე და მის შემოქმედებაზე ისაუბრა და კვლავაც წარმატებები უსურვა.

როგორც პროექტის ავტორმა შალვა კამლაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი მიზანია თანამედროვე პოეზიის პოპულარიზაცია.

„სამი წელია არსებობს ეს პროექტი, 30-ზე მეტი ავტორის ლექსი ამ კალიგრაფიით გამოვეცით. ამჯერად მაყვალა გონაშვილის ცნობილი ლექსი შევარჩიეთ. იდეის ხორცშესხმაში მხარი დაგვიჭირა დედოფლისწყაროს მერიამ, რის გამოც მადლობა ნიკოლოზ ჯანიაშვილს. ვინაიდან დედოფლისწყარო ქალბატონი მაყვალას მშობლიური მხარეა, ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სწორედ დედოფლისწყაროს თანადგომით შევძელით ამ პროექტის განხორციელება. მშვენიერი საღამო გამოვიდა, ბევრი საინტერესო სტუმარი გვყავდა,“ - აღნიშნა პროექტის ავტორმა.

მაყვალა გონაშვილი დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკში დაიბადა და გაიზარდა. 1981 წელს დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში. ლექსები და მინიატიურები 1968 წლიდან იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებში. 2008 წელს გონაშვილს მიენიჭა ანა კალანდაძის, 2010 წელს - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პრემიები. 2004 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. 2023 წელს ის დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დაასახელეს.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

თქმულება სოფელ სამთაწყაროს შესახებ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს სახელწოდების შესახებ დღემდე ცოცხლობს თქმულება. (საერთოდ, ლეგენდებისა და თქმულებების ამბები ოდესღაც მართლაც მოხდა და კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩა, ამიტომ მასში არის ჭეშმარიტების მარცვალიც). მე-17 საუკუნეში კახეთის ერთ-ერთ დაბას, რომელიც კახთა სადროშოს სარდალს ეკუთვნოდა, მტრის ხშირი თარეშები აწუხებდა. სადროშოც გმირულად იგერიებდა მოძალებულ მტერს. სარდალი ხანში შესულიყო, თვალისჩინიც აკლდა და აღარც მკლავი ერჩოდა, ჟამთა სვლას მისგან თავისი ხარკი აელო. სამაგიეროდ მოხუც სარდალს სამი ვაჟკაცი მოსწრებოდა, ერთ-ერთმანეთზე ახოვანნი და ვაჟკაცნი: დერი, გიზო და ლელი. ერთხელ მამამ შვილები იხმო და მიმართა: „სადროშოს

სხვას ნუ დაუთმობთ, მკლავიც გიჭრით და ხმალიც, წინაპრების სახელი არ შეარცხვინოთო“... მოხუცი სარდალი მალე გარდაიცვალა, ხალხმა მის შვილებს გვარსახელად სარდალიშვილები დაანათლა. ერთხელაც ძმებმა ალაზნის ტყიანში მოინადირეს, სიღრმეში მოუხდათ შესვლა, დაღლილებს წყალი მოსწყურდათ, მაგრამ სად იყო წყალი? ძმებმა გეზი მდინარე ალაზნისკენ აიღეს, მათ ღელის პირას წყარო შენიშნეს. უსახელოდ ხომ არ დავტოვებთ წყაროს, – თქვეს ძმებმა „ჩვენ ხომ განუყრელი ძმები ვართ, სახელიც განუყრელი უნდა დაერქვას — „სამთა წყარო“.

მათი დაბა-სოფელი შაჰ-აბასის ლაშქარმა აიკლო, ალგავა მიწისაგან პირისა. გადარჩა წყარო, მოშენდა სოფელი, ბინა დაიდეს გადარჩენილმა სარდლიშვილებმა, მამა-პაპას არ უღალატეს, გაჩნდნენ სხვანიც და სხვანიც.

ლალი ბასილაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი

ყურადღება!

2025 წლის 10 ივნისს 18:00 სთ-ზე ქ. დედოფლისწყაროში, კოსტავას ქ. №60-ში ტარდება რკ „რანი 800“-ის რიგგარეშე საერთო კრება. საერთო კრების დღის წესრიგი:

1. რკ „რანი 800“–ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
2. კოოპერატივის ლიკვიდატორის დანიშვნა.

შესაძლებელია საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებზე წინადადებების და დამატებების წარდგენა საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.

რკ „რანი 800“–ის გამგეობა

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.05		სამშაბათი 06.05		ოთხშაბათი 07.05		ხუთშაბათი 08.05		პარასკევი 09.05		შაბათი 10.05		კვირა 11.05	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	21 °	10 °	19 °	10 °	22 °	11 °	23 °	11°	23 °	12 °	23°	12 °	23 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; „შირაქის“ ელ.ფოსტა: gazetishiraki@gmail.com
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი